

სსიპ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის

პროფესიული სახელმწიფო დრამატული

თეატრის

განხორციელებული საქმიანობის 2020 წლის შემაჯამებელი ანგარიში

2020 წელს შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული გავხდით შეგვეცვალა დაგეგმილი ღონისძიებების ფორმები და შეგვემცირებინა მასშტაბები.

2020 წელს ოზურგეთის თეატრს დაგეგმილი ჰქონდა საინტერესო აქტივობები - პრემიერები, გასტროლები, საერთაშორისო ფესტივალებზე გამგზავრება და მონაწილეობა, თეატრის რეაბილიტირებული შენობის გახსნა, თეატრალური სეზონის გახსნა-დახურვა და სხვა.

პირველ რიგში, დავაწესეთ შემოსასვლელში თერმოსკრინინგი, ჩავატარეთ დეზინფექცია. დავიწყეთ თანამშრომელთა გამოცხადება საჭიროების მიხედვით, თუმცა მალევე, მდგომარეობის გამწვავების გამო, თანამშრომლები გადავიყვანეთ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოიხატება ონლაინ რეპეტიციებში და ონლაინ ჩვენებებში ჩვენს ფეისბუქ გვერდზე -

<https://www.facebook.com/ozurgetis.s.teatri>

ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები დაფინანსდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ:

- **სპექტაკლები**

2020 წლის დასაწყისში, პანდემიის დაწყებამდე მოვასწარით პრემიერები:

1. „შობის ჯადოსნური ღამე“- საახალწლო შოუ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის „მაკნატუნას“ მიხედვით. - რეჟისორი ვ. ჩიგოგიძე, ლ. თაბაგარი -3 იანვარი.
2. „ჩარლი ჩაპლინი ანუ წერილი ჯერალდინას“ სცენოგრაფი და რეჟისორი ელენე მაცხოვნაშვილი - 8 თებერვალი.
3. ზაფხულის ბოლოს 152-ე თეატრალური სეზონი დავხურეთ ღია სივრცეში, ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პაკში სპექტაკლით „ჩარლი ჩაპლინი ანუ წერილი ჯერალდინას.“

წლის განმავლობაში მომზადდა და შემდეგი სპექტაკლები:

1. „ვერნისაჟი“ - ვ. ჰაველი, მ. ბაბილოძე -მარტი - აპრილი
2. „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქია“ ედვარდო დე ფილიპო, რეჟისორი ოთარ კუტალაძე. - აპრილი- ივნისი
3. „მონატრება - ნუ გააღვიძებ“ - ნ. დუმბაძის მიხედვით, რეჟისორი ვასო ჩიგოგიძე - 28 აგვისტო - 15 ოქტომბერი.

4. „დონ კიხოტი“ - სცენოგრაფი და რეჟისორი ელენე მაცხოვნაშვილი - 15-23 ოქტომბერი
5. „მთავარი როლი“ - თ. ბართაია, რეჟისორი დიმიტრი ხვთიასაშვილი - 25 ოქტომბერი - 26 ნოემბერი

პანდემიის გამო გამკაცრებული შეზღუდვების პირობებში მიმდინარეობს ონლაინ რეპეტიციები:

- „სამს პლიუს სამი“ - მ. დოიჯაშვილი, რეჟისორი ვანო ხუციშვილი

მოწვეული გვყავდა რეჟისორები - ე. მაცხოვნაშვილი, დ. ხვთიასაშვილი, ვ. ხუციშვილი. მიმდინარეობს ონლაინ რეპეტიციები. ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ შეზღუდვების მოხსნის დროისათვის მზად დავხვდეთ მაყურებელს და გავახაროთ თეატრალური კვირეულით და ჩვენი რეაბილიტირებული შენობის საზეიმო გახსნით.

სხვა აქტივობები:

- გამოვუშვით გაზეთის 4 გვერდიანი ჩანართები ქართული თეატრისა და თეატრის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით გაზეთ „ალიონში“. - პასუხისმგებელი ლია კილაძე, პრესსამხურის უფროსი.
- ჩვენს ფეისბუქზე 3 თვის განმავლობაში კვირაში სამჯერ იმართებოდა ჩვენი რეპერტუარის ონლაინ ჩვენება. ჩენი პარტნიორი იყო ინტერნეტ ტელევიზია „იუტვ.“
- მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო ონლაინ ფესტივალებსა და დუსკუსიებში.
- რეაბილიტირებულ შენობაში დავბრუნდით 2020 წლის 28 აგვისტოს, დაგეგმილი საზეიმო ღონისძიება ვერ შედგა.
- მონაწილეობა მივიღეთ ქუთაისში თეატრალური საზოგადოების ორგანიზებულ ღონისძიებაზე, სადაც ჩვენი მსახიობი თამარ მდინარაძე საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აღიარა წლის საუკეთესო მსახიობ ქალად.
- შენობის ჰოლში, მეორე სართულზე მოეწყო ფოტოგამოფენა ჩვენი თეატრის ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების შესახებ 1914 წლიდან დღემდე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფინანსური თანამონაწილეობა:

- რადიოთეატრი „გეყურება“!

თეატრში შეიქმნა რადიოთეატრის პროექტი „გეყურება?!“ - რომელიც მორგებულია პანდემიის პირობებს, განაახლებს კავშირს მაყურებელთან/მსმენელთან, შეიქმნება ჩვენი აუდიო „ოქროს ფონდი.“ პროექტი გათვლილია სამომავლო გეგმებზე. მიმდინარეობს პროექტის ტექნიკურ საკითხებზე მუშაობა.

ამჯერად, თითქმის ყველა თანამშრომელი გადაყვანილია დისტანციურ რეჟიმზე უსაფრთხოების მიზნით, თუმცა ვაგრძელებთ მუშაობას.

სსიპ. ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის

პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის

დირექტორი

ზ. ჯინჭარაძე